AVTO WORLD LTD Digitally signed by AVTO WORLD LTD
Date: 2020.11.10 20:25:06 +04'00'

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N11/16

პენიტენციური სისტემის მართვა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება 26 02 01
გამარტივებული შესყიდვა

ქ. თბილისი **10 ნოემბერი 2020 წელი**

ერთი მხრივ, **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სპეციალური პენიტენციური სამსახური** (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის - **იულია ტყეშელაშვილის** სახით და მეორე მხრივ - **შპს „ავტო ვორლდ AVTO WORLD"-ი** (შემდგომში „მიმწოდებელი'') წარმოდგენილი დირექტორის - **თორნიკე მიმინოშვილის** სახით, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, *„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, 2020 წლის 06 ნოემბრის №01/302078 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ* წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-სპეციალური პენიტენციური სამსახურის ბალანსზე რიცხული **ერთი მსუბუქი ავტომანქანისთვის: მარკა - TOYOTA, მოდელი - CAMRY, ტიპი - სედანი (გ/წ 2018, 2.5 ძრავი საწვავის ტიპი (ბენზინი), ვინკოდი - 4T1B11HK5JU066776)** მიმდინარე შეკეთების მომსახურების შესყიდვა, მათ შორის საჭირო სათადარიგო ნაწილების და საპოხი საშუალებების შეცვლა/შეკეთების მომსახურება (CPV 50100000 - სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები, CPV50110000 - ავტომობილებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება).

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია ერთი მსუბუქი ავტომანქანისთვის მიმდინარე შეკეთების მომსახურების შესყიდვა, მათ შორის საჭირო სათადარიგო ნაწილების და საპოხი საშუალებების შეცვლა/შეკეთება.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **5 000.00 (ხუთი ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარს**, აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი მოსაკრებელი და გადასახადი.

3.2. პრეისკურანტის ჯამური ღირებულება შეადგენს **2 751.50 (ორი ათას შვიდას ორმოცდათერთმეტი ლარი და 50 თეთრი)** ლარს.

3.3. ავტომობილის და მომსახურების ძირითადი ნაწილის ჩამონათვალი ერთეულის ფასების მითითებით განისაზღვრება დანართი N1-ის შესაბამისად.

3.4. ხელშეკრულების 3.3. პუნქტში ხსენებული დანართი N1 (პრეისკურანტი - 1 ფურცელი) და დანართი N2 (მატერიალურ ტექნიკრი ბაზა - 1 ფურცელი) თან ერთვიან ხელშეკრულებას და წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. მომსახურების ხარისხი, გარანტია, მიწოდების ვადა და ადგილი.

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მომსახურება იქნება მაღალი ხარისხის და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4.2. სატრანსპორტო საშუალების სწორი ექსპლუატაციის პირობებში მიმწოდებელი ხელშეკრულების საგანზე იძლევა გარანტიას დანართი N1-ის შესაბამისად, ასევე შეკეთებულ ძრავზე - არანაკლებ 6 (ექვსი) თვე ან არანაკლებ 40000 კმ (სწორი ექსპლუატაციის შემთხვევაში), რომელიც უფრო ადრე დადგება; თუ კი სერვის ცენტრში შეცვლილი დეტალი ხელახლა დაზიანდა სხვა სათადარიგო ნაწილის გაუმართაობის გამო, რასაც დაადასტურებს შესაბამისი ექსპერტი ან/და ინსპექტირების ჯგუფის წარმომადგენლები, აღნიშნულ შემთხვევაში ამ დეტალის საგარანტიო მომსახურების ფარგლებში შეცვლა არ მოხდება.

4.3. საგარანტიო პერიოდში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა და მომსახურების გაწევა (მათ შორის აანაზღაუროს/გადაიხადოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეკეთებისა და ევაკუაციის სერვისის ხარჯები).

4.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად (მათ შორის უქმე და დასვენების დღეების ჩათვლით) ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით დანართი N1-ის შესაბამისად.

4.5. მიმწოდებელი ვალდებულია, ავტომობილის მიყვანიდან, უზრუნველყოს ხელშერკრულებით განსაზღვრული ავტომობილის ძრავის კაპიტალური შეკეთება არაუმეტეს 10 კალენდარულ დღეში; ყველა

ტიპის ელექტრო საშემკეთებლო სამუშაოები არაუმეტეს 5 კალენდარულ დღეში; ყველა ტიპის ტექნიკური მომსახურება არაუმეტეს 5 კალენდარულ დღეში. იმ ავტოსათადარიგო ნაწილების შეძენის, მიწოდების და დაყენების ვადად, რომლებიც არ მოიპოვება ადგილობრივ ბაზარზე განისაზღვრება არაუმეტეს 30 კალენდარული დღე.

4.6. იმ შემთხვევაში, თუ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, ავტომობილი გამოვიდა მწყობრიდან ქვეყნის ნებისმიერ წერტილში (საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია) და ვერ ხერხდება მისი ევაკუირება სერვის-ცენტრში, მიმწოდებელს უნდა შეეძლოს მომსახურების გაწევა ადგილზე დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში.

4.7. მიმწოდებელმა მომსახურება უნდა განახორციელოს შემდეგ სერვის-ცენტრებში, მისამართი: ქ. თბილისი - გრ. ლორთქიფანიძის ქ. N88 (ტელ: 571034803; 599365928), ქ. ქუთაისი - შპს „ეი თი კომპანი“ თაბუკაშვილის ქ. N25 (ტელ: 555572257), ქ. ბათუმში - შპს ,,თენგიზ თებიძე“ აეროპორტის გაზატკეცილი N50 (ტელ: 593406900).

4.8. შეკეთებულ ძრავზე არანაკლებ - 6 (ექვსი) თვე ან არანაკლებ 40000 კმ., (სწორი ექსპლუატაციის შემთხვევაში) რომელიც უფრო ადრე დადგება; თუ კი სერვის ცენტრში შეცვლილი დეტალი ხელახლა დაზიანდა სხვა სათადარიგო ნაწილის გაუმართაობის გამო, რასაც დაადასტურებს შესაბამისი ექსპერტი ან/და ინსპექტირების ჯგუფის წარმომადგენლები, აღნიშნულ შემთხვევაში ამ დეტალის საგარანტიო მომსახურების ფარგლებში შეცვლა არ მოხდება. საგარანტიო პირობები დეტალურად გაწერილია ხელშეკრულების დანართი N1-ში.

4.9. თუ გამოიკვეთება, რომ მომწოდებელმა საგარანტიო პერიოდში შეცვალა სათადარიგო ნაწილი მისი უხარისხობის გამო, შემსყიდველი უფლებამოსილია დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1%-ის ოდენობით.

4.10. თუ გამოცვლილი ან/და შეკეთებული სათადარიგო ნაწილის გამო ავტომანქანა გამოვიდა მწყობრიდან მოცემულ საგარანტიო ვადაში, პრეტენდენტი ვალდებულია, მოახდინოს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა ადგილზევე, ან/და მისი ევაკუირება შესაბამის სერვის - ცენტრში საკუთარი ხარჯით.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტისა და ინსპექტირების აქტის გაფორმების შემდეგ, რომელიც დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ შესაბამისი უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 5.1. პუნქტში აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირები არიან ეკონომიკური დეპარტამენტის მომარაგების სამმართველოს სატრანსპორტო უზრუნველყოფის მენეჯერი თენგიზ საცერაძე, ეკონომიკური დეპარტამენტის მომარაგების სამმართველოს II კატეგორიის სპეციალისტი კუკური ჯიბლაძე ან/და ამავე სამმართველოს დამხმარე მოსამსახურე ჯაბა კორინთელი, ან/და ეკონომიკური დეპარტამენტის მომარაგების სამმართველოს შტატგარეშე მოსამსახურე - **გიორგი ნიკოლაიშვილი** და შესაბამისი ავტომანქანის მართვაზე უფლებამოსილი პირი; ხოლო მიმწოდებლის მხრიდან დირექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი. იმ შემთხვევაში, თუ სათადარიგო ნაწილის/მომსახურების ღირებულება აღემატება 1000 ლარს მიღება-ჩაბარების აქტს ასევე ხელს აწერს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური ინსპექციის თანამშრომელი,ხოლო მიმწოდებლის მხრიდან დირექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

5.3. ავტოსატრანსპორტო საშუალებების სერვისცეტრში მიყვანისას, მხარეებს შორის ფორმდება დეფექტური აქტი, რომლის ხელმოწერაზე შემსყიდველის მხრიდან უფლებამოსილი პირები არიან ეკონომიკური დეპარტამენტის მომარაგების სამმართველოს სატრანსპორტო უზრუნველყოფის მენეჯერი - **თენგიზ საცერაძე**, ეკონომიკური დეპარტამენტის მომარაგების სამმართველოს II კატეგორიის სპეციალისტი - **კუკური ჯიბლაძე** ან/და ამავე სამმართველოს დამხმარე მოსამსახურე - **ჯაბა კორინთელი**, ან/და ეკონომიკური დეპარტამენტის მომარაგების სამმართველოს შტატგარეშე მოსამსახურე - **გიორგი ნიკოლაიშვილი**, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან დირექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი. კომპანიის წარმომადგენელი ვალდებულია მოაწეროს ხელი დეფექტურ აქტს. დეფექტური აქტი მიმწოდებლის მიერ შედგენილ უნდა იქნეს ავტომობილის სერვის ცენტრში მიყვანიდან არაუგვიანეს ერთი დღის ვადაში. აღნიშნული ვადა შეიძლება გაგრძელდეს შემსყიდველთან შეთანხმებით, რისთვისაც აუცილებელია მიმწოდებლის დასაბუთებული წერილი (ვადის გაგრძელებაზე შემსყიდველის თანხმობა შესაძლებელია განხორციელდეს ელ. ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნის გზით).

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. მიმწოდებლთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

6.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6.3. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარადგინოს ხელშეკრულების 5.1 ქვეპუნქტში მითითებული მიღება-ჩაბარების აქტი, ინსპექტირების აქტი, სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში).

6.4. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების 6.3. პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

6.5. დაფინანსების წყარო: **2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი**.
6.6 შემსყიდველი უფლებამოსილია დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დააკავოს მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან.

7. მხარეთა ვალდებულებები და უფლებები
7.1. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულების დანართებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
ბ) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება.
7.2. შემსყიდველს უფლება აქვს:
შეამოწმოს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ხარისხი.
7.3. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა)დროულად და ხარისხიანად გასწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;
ბ)მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება უნდა იყოს მაღალი ხარისხის და უნაკლო;
გ)გააფრთხილოს შემსყიდველი, როდესაც არსებობს მისგან დამოუკიდებელი გარემოება, რომელიც საფრთხეს უქმნის ხელშეკრულებით განსაზღვრულ მომსახურების ხარისხს;
დ)საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა საქარხნო დეფექტის, ან მიმწოდებლის ბრალეულობით მომსახურებაში გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრა;
ე) შემსყიდველს წარუდგინოს 6.3 პუნქტში მითითებული დოკუმენტაცია.
7.4. მიმწოდებლს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომასახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას
8.1. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი/უხარისხო შესრულების შემთხვევაში, შემსრულებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 4%-ის ოდენობით.
8.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,4% -ის ოდენობით.
8.3. 7.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ბაზრის კვლევა და ფასთა შეუსაბამობის დადასტურების შემთხვევაში მიმწოდებელი დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1%-ით.
8.4. საგარანტიო პერიოდში შესყიდვის ობიექტზე აღმოჩენილი ნაკლის ან დეფექტის გამოსწორების ვადის (10 კალენდარული დღის) დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,3%-ის ოდენობით.
8.5. 4.2, 4.3 პუნქტებით და დანართი N1-ით გათვალისწინებულ საგარანტიო პერიოდში მიმწოდებელის მიერ სათადარიგო ნაწილის უხარისხობის გამო შეცვლის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააჯარიმოს მიმწოდებელი შეკეთების და დაყენებული ნაწილის ღირებულების 50%-ის ოდენობით, ხოლო იმავე ნაწილის საგარანტიო პერიოდში განმეორებით შეცვლის შემთხვევაში - დააჯარიმოს მიმწოდებელი ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1%-ის ოდენობით.
8.6. ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.
8.7. გაწეული მომსახურებით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა მიყენებულ ზიანზე სრულად ეკისრება მიმწოდებლს.
8.8. მიმწოდებლის უფლებამოსილი პირის მიერ დეფექტური აქტის შეუდგენლობის ან შედგენელი დეფექტური აქტის ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0, 05%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მხარეთა შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით, ხოლო ხელშეკრულების მე-4 პუნქტით, 8.3, 8.4 და 8.5 ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ურთიერთობებზე ხელშეკრულება მოქმედებს გარანტიის ვადით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა
10.1. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

11.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს წერილობით ფორმით მიზეზის მითითებით, ან სატელეფონო შეტყობიმებით, რომელიც უნდა დაადასტუროს შემდგომ წერილობითი ფორმით.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოების არსებობის ფაქტი დადასტურებული უნდა იყოს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ინსპექტირება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს, ან შემდგომ, მათ შორის, განახორციელოს მიწოდებული საქონლის/მომსახურების ექსპერტიზა, მის მიერ შერჩეულ დამოუკიდებელ ექსპერტთან ან საექსპერტო დაწესებულებასთან.

12.2. ინსპექტირებისას ხილვადი დეფექტის, ნაკლის ასევე უხარისხო საქონლის/გაწეული მომსახურების აღმოჩენის შემთხვევაში, ინსპექტირების განმახორციელებელმა უნდა შეადგინოს ინსპექტირების აქტი და წარუდგინოს შემსყიდველს შემდგომი რეაგირებისათვის.

12.3. ვიზუალური დათვალიერების დროს, ხილვადი დეფექტის ან/და ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით ან/და სატელეფონო შეტყობინებით (რაზედაც დგება შესაბამისი ოქმი) აცნობოს მიმწოდებელს აღმოჩენილი დეფექტის, ნაკლის შესახებ და მოსთხოვოს ნაკლის, დეფექტის გამოსწორება ან შეცვლა.

12.4. გამოვლენილი დეფექტის, ან ნაკლის აღმოფხვრასთან, ხელახალ ინსპექტირებასთან და ასევე ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

12.5. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებენ ეკონომიკური დეპარტამენტის მომარაგების სამმართველოს სატრანსპორტო უზრუნველყოფის მენეჯერი - **თენგიზ საცერაძე**, ეკონომიკური დეპარტამენტის მომარაგების სამმართველოს II კატეგორიის სპეციალისტი - **კუკური ჯიბლაძე** ან/და ამავე სამმართველოს დამხმარე მოსამსახურე - **ჯაბა კორინთელი**, ან/და ეკონომიკური დეპარტამენტის მომარაგების სამმართველოს შტატგარეშე მოსამსახურე - **გიორგი ნიკოლაიშვილი**.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებელთან ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შესახებ წერილობითი შეტყობინების შემდეგ, თუ:

ა) მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

გ) მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაჯარიმებულ იქნა სამჯერ.

დ) მომსახურება უხარისხოდ იქნა გაწეული.

ე) შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

ვ) ხელშეკრულების ვადის გასვლის საფუძველზე.

ზ) ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებელთან ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შესახებ წერილობითი შეტყობინების შემდეგ, თუ შემსყიდველი არ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს მიმწოდებლის მიერ განსაზღვრულ დამატებით ვადაში.

13.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულების შესრულებისაგან, ხოლო შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის მიღებული მომსახურების ღირებულების ანგარიშსწორება.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ელექტრონულად. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.5. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის იქნება წერილობითი ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.
15.6. წინამდებარე ხელშეკრულებაზე მხარეების მიერ შესრულებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპით, რომელსაც აქვს იურიდიული ძალა.

16. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-სპეციალური პენიტენციური სამსახური მის: ქ. თბილისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. N27 ს/კ 205360223 სახელმწიფო სახაზინო კოდი: TRESGE22 ა/ა GE24 NB03 3010 0200 1650 22 ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი	**შპს „ავტო ვორლდ AVTO WORLD“** მის: ქ. თბილისი, გრ. ფერაძის ქუჩა ს/კ 405017235 სს „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22 ა/ა GE89BG0000000492044900 დირექტორი
/იულია ტყეშელაშვილი/	**/თორნიკე მიმინოშვილი/**

დანართი N1

2020 წლის 10 ნოემბრის N11/16 ხელშეკრულებასთან

შპს ''ავტო ვორლდAVTO WORLD'' (405017235)

TOYOTA CAMRI 2,5

#	სათადარიგო ნაწილი	რაოდენობა	ერთეულის ფასი	მომსახურების ფასი ერთეული
1	ძრავის ზეთი 5W30	ლიტრი	20.00	0.00
2	ზეთის ფილტრი	ცალი	30.00	0.00
3	კარტერის საცობის შუასადები	ცალი	2.50	0.00
4	სალონის ფილტრი	ცალი	68.00	10.00
5	ჰაერის ფილტრი	ცალი	90.00	10.00
7	სამუხრუჭე სითხე	ლიტრი	35.00	50.00
8	გადაცემათა კოლოფის ზეთი.	ლიტრი	35.00	80.00
9	გადაცემათა კოლოფის ფილტრი	ცალი	137.00	0.00
10	გადაცემათა კოლოფის შუასადები	ცალი	44.00	0.00
11	ანთების სანთელი	ცალი	55.00	10.00
12	ანტიფრიზი (PINK)	ლიტრი	20.00	15.00
13	უკანა საყრდენი დისკი	ცალი	270.00	30.00
14	წინა საყრდენი დისკი	ცალი	317.00	30.00
15	წინა ხუნდები	კომპ	220.00	20.00
16	უკანა ხუნდები	კომპ	170.00	20.00
17	გაბარიტის ნათურა	ცალი	3.00	5.00
18	სტოპის ნათურა	ცალი	6.00	5.00
19	ქსენონის ნათურა	ცალი	340.00	20.00
20	ნათურა H11	ცალი	53.00	5.00
21	ნათურა H7	ცალი	20.00	5.00
22	ნათურა HB4	ცალი	30.00	5.00
23	ნათურა HB3	ცალი	32.00	5.00
24	ნათურა H3	ცალი	24.00	5.00
25	ნათურა H1	ცალი	25.00	5.00
26	წინა საყრდენი დისკები (წყვილი) გაჩარხვა	კომპლექტი	0.00	80.00
27	უკანა საყრდენი დისკები (წყვილი) გაჩარხვა	კომპლექტი	0.00	80.00
28	კომპიუტერული დიაგნოსტიკა	სირთულით	0.00	40.00
29	ელ.შეკეთება	სირთულით	0.00	120.00
30	თვლების ნახარის რეგულირება	ცალი	0.00	30.00
31	საბურავის (სედანი) დაშლა/აწყობა	ცალი	0.00	5.00
32	საბურავის (სედანი) ბალანსირება	ცალი	0.00	5.00
33	საბურავის (სედანი) დაკერება	ცალი	0.00	10.00
			2046.50	705.00
			სულ ჯამი:	**2751.50**

დანართი N2
2020 წლის 10 ნოემბრის N11/16 ხელშეკრულებასთან

შპს „ავტო ვორლდ AVTO WORLD“-ს (ს/კ 405017235) თბილისსა და საქართველოს რეგიონებში ავტოტექმომსახურების სერვის-ცენტრებს გააჩნია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მოიცავს შემდეგ ტექნიკური მომსახურების გაწევის ძირითად საექსპლუატაციო მახასიათებლებს:

ა) პროფილაქტიკური და დიაგნოსტიკური სამუშაოების ჩატარებას;
ბ) ავტომობილის მომსახურებას უმოკლეს ვადაში და ოპერატიული შეკეთებას;
გ) სათადარიგო ნაწილების შეკეთებას და შეცვლას;
დ) საცხებ-საპოხი მასალების შეცვლას.

ქ.თბილისი: მისამართი გრ. ლორთქიფანიძის ქუჩა N88 (ყოფილი კაიროს ქ. N26) (ტელ.: 571034803; 599365928) აღჭურვილია 10 ცალი ელექტრო ამწე მოწყობილობით, ელექტროსისტემების კომპიუტერული დიაგნოსტიკის აპარატით, საყრდენი დისკების გასაჩარხი აპარატით, წინა მაშუქების სარეგულირებელი აპარატით, ვულკანიზაციის, ბალანსირების და დისკების გასასწორებელი მოწყობილობით, თვლების შეყრის (დახრილობის) კომპიუტერული დიაგნოსტიკის ამწე მოწყობილობით, კონდენციონერის ფრეონით დატუმბვის აპარატით. ელექტრო მომარაგების ალტერნატიული წყარო, რომელის სრულად უზრუნველყოფს ელ. კვებას (გენერატორით).

შპს „ავტო ვორლდAVTO WORLD“-ს გრ. ლორთქიფანიძის ქ 88-ში აქვს შესაძლებლობა ორი ერთეული ძრავის (კაპიტალური შეკეთება) შეკეთების.

შპს“ავტო ვორლდAVTO WORLD”-ს გააჩნია პირველადი მოთხოვნის მარაგები ადგილზე, კერძოდ: ზეთები, ფილტრები, წინა და უკანა ხუნდები(დანართში მითითებულ ყველა ავტომობილზე).

შპს „ავტო ვორლდAVTO WORLD“ -ი გათავსებულია 1035კვ.მ. მიწის ფართზე, მათ შორის სასაწყობე ფართია 70კვ.მ, რომელიც დაცულია, შემოსაზღვრულია და კონტროლდება სამეთვალყურეო ვიდეოკამერებით.

ქ.ქუთაისში: შპს „ეი თი კომპანი“ (ს/კ 412679098) თაბუკაშვილის ქიჩა N25 (ტელ: 555572257) აღჭურვილია 5 ელექტრო ამწე მოწყობილობით, ელექტრო სისტემების კომპიუტერული დიაგნოსტიკის აპარატით, ვულკანიზაციის, ბალანსირების და დისკების გასასწორებელი მოწყობილობით, თვლების შეყრის (დახრილობის) კომპიუტერული დიაგნოსტიკის ამწე მოწყობილობით, კონდენციონერის ფრეონით დატუმბვის აპარატით. შპს „ეი თი კომპანი“ განთავსებულია 300 კვ.მ საწარმოო ფართობზე, მათ შორის სასაწყობო ფართი შეადგენს 50 კვ.მ.

ქ.ბათუმში: შპს „თენგიზ თებიძე“ (ს/კ 245439814) აეროპორტის გზატკეცილი N50 (ტელ: 593406900) აღჭურვილია 6 ელექტრო ამწე მოწყობილობით, ელექტროსისტემების კომპიუტერული დიაგნოსტიკის აპარატით, ვულკანიზაციის, ბალანსირების და დისკების გასასწორებელი მოწყობილობით, თვლების შეყრის (დახრილობის) კომპიუტერული დიაგნოსტიკის ამწე მოწყობილობით, კონდენციონერის ფრეონით დატუმბვის აპარატით. შპს „თენგიზ თებიძე“ განთავსებულია 1200 კვ.მ საწარმოო ფართობზე, მათ შორის სასაწყობო ფართი შეადგენს 50 კვ.მ.

შპს „ავტო ვორლდ AVTO WORLD”-ის ქვეკონტრაქტორ კომპანიებს ქ.ბათუმში და ქ.ქუთაისში აქვთ ერთი ერთეული ძრავის (კაპიტალური შეკეთება) შეკეთების მომსახურების შესაძლებლობა.

KA010119175257720

№01/302078 **06 / ნოემბერი / 2020 წ.**

სპეციალური პენიტენციური სამსახურის
გენერალურ დირექტორს
ბატონ გიორგი პატარიძეს

სპეციალური პენიტენციური სამსახურის
ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის იულია
ტყეშელაშვილის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო გიორგი,

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს, რათა 2020 წლის ნოემბერ დეკემბრისთვის შეგვისყიდონ სარემონტო-პროფილაქტიკური მომსახურება სამსახურის ბალანსზე რიცხული TOYOTA CAMRY 2018 წლის 2.5 ძრავი საწვავის ტიპი (ბენზინი) მსუბუქი ავტომანქანისთვის, საერთო თანხით 5000 (ხუთი ათასი) ლარი. ბაზრის კვლევის დამადასტურებელ დოკუმენტაციასა და ტექნიკურ პირობას გიგზავნით დანართის სახით.

დანართი: 4 (ოთხი) PDF-ის ფაილი.
1 (ერთი) Vord-ის ფაილი.

პატივისცემით,

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

იულია ტყეშელაშვილი